ხელშეკრულება ფართის იჯარის შესახებ

ქ. თბილისი
2023 წელი

მხარეთა ხელმოწერები

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი

[18] დეკემბერი 2023 წ.

ერთის მხრივ, შპს „Medicare Georgia“ ს/კ 404396765 წარმოდგენილი მისი დირექტორის რამაზ ჭიღლაძის სახით (შემდგომში მეიჯარე)

და

მეორეს მხრივ სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ ს/კ 404476189, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ბარათაშვილის სახით, (შემდგომში "მოიჯარე")

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი ,,მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე ,,მხარედ“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ფართის დროებით სარგებლობაში (იჯარით) გადაცემის შესახებ, კერძოდ:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით **მეიჯარე** გადასცემს, ხოლო **მოიჯარე** იღებს დროებით სასყიდლიან სარგებლობაში მეიჯარის საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას #16-ში მდებარე შენობას სრულად (შემდგომში "საიჯარო ფართი", სრული ფართი 4687,49 კვ.მ.), რომლის ნახაზებიც მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ #1-ში.

1.2. **საიჯარო ფართი** წარმოადგენს **მეიჯარის** საკუთრებას, რაც დადასტურებულია საჯარო რეესტრში არსებული სათანადო ჩანაწერით (892023357102 - 05/12/2023) (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.14.05.008.013. ამასთნ, **მეიჯარე** ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის **საიჯარო ფართის** მდგომარეობა უცვლელია და იდენტურია ზემოაღნიშნულ ამონაწერში მითითებულისა.

1.3. **საიჯარო ფართი** გამოყენებული იქნება **მოიჯარის** საოფისე მიზნებისთვის და **მოიჯარის** ან მისი თანამშრომლების მფლობელობაში არსებული ავტომანქანების -სადგომისთვის.

1.4. **მოიჯარის** მიერ ხელშეკრულების შესაბამისად **საიჯარო ფართით** სარგებლობის უფლება გულისხმობს საიჯარო ფართით თავისუფალი და უწყვეტი სარგებლობის უფლებას **მოიჯარის** მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნებისათვის გამოსაყენებლად (თუკი სხვაგვარად არ იქნა შეთანხმებული მხარეთა შორის), რაც გულისხმობს **მოიჯარისათვის** უფლების მინიჭებას, რათა ამ უკანასკნელმა ისარგებლოს **საიჯარო ფართით** და მასთან მისასვლელებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ურთიერთობის ვადით და მიზნებისთვის.

2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

2.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის **მხარეთა** უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2035 წლის 1 მარტამდე. ამასთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უშუალო საიჯარო ურთიერთობები და საიჯარო ქირის გადახდა / ათვლა დაიწყება **მხარეთა** შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან, მაგრამ არაუგვიანეს 2025 წლის 01 მარტისა (რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება). იმ შეთხვევაში, თუ **მოჯარე** ამ პუნქტში მითითებულ ვადაზე ადრე შეატყობინებს **მეიჯარეს** მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების მზაობის შესახებ (რაც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დადგომასთან), მიღება ჩაბარების აქტი გაფორმდება 2025 წლის 01 მარტამდე და შესაბამისად საიჯარო ქირის გადახდა დაიწყება მიღება-ჩაბარების აქტის დადების თარიღიდან.

2.2. საიჯარო ურთიერთობებისთვის საანგარიშო პერიოდად ითვლება პერიოდი ყოველი თვის 01 რიცხვიდან შესაბამისი თვის ბოლო რიცხვამდე; იმ შეთხვევაში, თუ მიღება ჩაბარების აქტი დაიდება თვის ნებისმიერ სხვა რიცხვში პირველ საანგარიშო პერიოდს შეადგენს პერიოდი მიღება ჩაბარების აქტის დადების თარიღიდან თვის ბოლო რიცხვამდე.

2.3. **მოიჯარე** ვალდებულია გაათავისუფლოს **საიჯარო ფართი** ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) - კალენდარული თვის განმავლობაში. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები ადასტურებენ, რომ: ა) აღნიშნული ორთვიანი პერიოდის განმავლობაში **მოიჯარე** იხდის საიჯარო ქირას **საიჯარო ფართის** ფაქტიურად სარგებლობის დღეების პროპორციულად, ბ. ორთვიანი ვადის დარღვევის შემთხვევაში, **მოიჯარე** ვალდებულია გადაიხადოს საიჯარო ქირა ფართის **მეიჯარისთვის** დაბრუნებამდე პერიოდისთვის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი ყოველთვიური საიჯარო ქირის 110%-ის ოდენობით, დარღვევის თარიღის შემდგომ **საიჯარო ფართით** ფაქტიურად სარგებლობის დღეების რაოდენობის პროპორციულად.

2.4. **მეიჯარისათვის** საიჯარო ფართის დაბრუნების თაობაზე აქტის გაფორმების თარიღი წარმოადგენს **მხარეთა** შორის არსებული საიჯარო ურთიერთობის დასრულების ნამდვილ თარიღს და საბოლოო საიჯარო ქირის გადახდა მოხდება ამგვარი თარიღის საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, **საიჯარო ფართის** დაბრუნების თაობაზე აქტი გაფორმებულად ითვლება მაშინაც კი თუ რომელიმე მხარე ბრალეული გაჭიანურების გამო აფერხებს აღნიშნული აქტის გაფორმებას.

მხარეთა ხელმოწერები

2.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

3. საიჯარო ქირა და ანგარიშსწორების პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, **საიჯარო ფართით** სარგებლობისთვის გადასახდელი ყოველთვიური საიჯარო თანხა განისაზღვრება შემდეგი წესით:

3.1.1. მიღება ჩაბარების აქტის დადებიდან ან 2025 წლის 01 მარტიდან (რომელი თარიღიც უფრო ადრე დადგება) 2028 წლის 01 მარტამდე ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 42,187.41 (ორმოცდაერთი ათას ას ოთხმოცდაშვიდი დოლარი და 41 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით გადადის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

3.1.2. 2028 წლის 01 მარტიდან 2031 წლის 01 მარტამდე პერიოდში ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 46,406.15 (ორმოცდაექვსი ათას ოთხას ექვსი დოლარი და 15 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით გადადის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

3.1.3. 2031 წლის 01 მარტიდან 2034 წლის 01 მარტამდე პერიოდში ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 51,046.77 (ორმოცდათერთმეტი ათას ორმოცდაექვსი დოლარი და 77 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით გადადის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

3.1.4. 2034 წლის 01 მარტიდან 2035 წლის 01 მარტამდე პერიოდში ყოველთვიური საიჯარო ქირა შეადგენს 56,151.45 (ორმოცდათექვსმეტი ათას ასორმოცდათერთმეტი დოლარი და 45 ცენტი) აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში დღგ-ს ჩათვლით გადადის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის შესაბამისად.

3.2. საიჯარო ქირა არ ექვემდებარება ცვლილებას ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ამასთან **მხარეები** თანხმდებიან და აღიარებენ, რომ საიჯარო ქირა მოიცავს და ითვალისწინებს ყველა იმ სამომავლო დადებით თუ უარყოფით მოვლენებს, რომელიც შესაძლებელია გამოიწვიოს შეცვლილმა გარემოებებმა. საიჯარო ქირა მითითებულის გათვალისწინებით განსაზღვრულია სამართლიანად და არცერთ **მხარის** მიერ იგი არ გახდება სადაო ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

3.3. **მოიჯარე** ვალდებულია ყოველთვიური საიჯარო ქირა წინასწარ, ყოველი საანგარიშო თვის ხუთ (5) რიცხვამდე, **მეიჯარის** რეკვიზიტებში მითითებულ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით, ანგარიშსწორების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით. ამასთან პირველი თვის საიჯარო თანხას **მოიჯარე** გადაიხდის ფართის მღება ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან ან 2025 წლის 01 მარტიდან (რომელი თარიღიც უფრო ადგე დადგება) ხუთი სამუშაო დღის ვადაში პირველი საანგარიშო პერიოდის დღეების პროპორციულად.

3.4. საიჯარო ქირა არ მოიცავს კომუნალური მომსახურების გადასახადებს (ელექტროენერგია, წყალი, გაზი, დასუფთავება და სხვა), ასევე საკომუნიკაციო (ტელეფონით, ინტერნეტით და საკაბელო ტელევიზიით) სარგებლობის ხარჯებს. აღნიშნულ გადასახადებს **მოიჯარე** გადაიხდის ყოველთვიურად საკუთარი სახსრებით, დადგენილი ტარიფებისა და პირობების შესაბამისად.

3.5. **მოიჯარის** მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 პუნქტით დადგენილ ვადაში საიჯარო ქირის/მისი ნაწილის გადაუხდელობის შემთხვევაში, **მეიჯარე** უფლებამოსილია დააკისროს **მოიჯარეს** პირგასამტეხლო გადაუხდელი საიჯარო ქირის 0.05%-ს ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მაგრამ არაუმეტეს ყოველთვიური საიჯარო ქირის 10%-ისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა მოხდება მოიჯარის მიერ ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

4. "მეიჯარის" უფლება-მოვალეობანი

4.1. მეიჯარე ვალდებულია:

4.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს **მოიჯარის** და **მოიჯარის** მიერ განსაზღვრული იურდიული თუ ფიზიკური პირების დაშვება **საიჯარო ფართში**.

4.1.2. არ ჩაერიოს **მოიჯარის** საქმიანობაში (გარდა იმ შემთხვევებისა, რაც პირდაპირ არის განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით ან მხარეთა შორის არსებული სხვა შეთანხმებით) და **საიჯარო ფართის** გამოყენებაში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც **მოიჯარე** საიჯარო ფართს იყენებს ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის).

4.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს, რათა **მეიჯარის საიჯარო ფართის** არც ერთი ნაწილი საკუთრებაში ან/და დროებით სარგებლობაში არ გადაეცეს სხვა სადაზღვევო კომპანიას , იმ შემთხვევაშიც კი თუ **მხარეთა** ორმხრივი შეთანხმების შემცირდება **საიჯარო ფართი.**

4.1.4. **მოიჯარის** მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 7 სამუშაო დღისა უზრუნველყოს შესაბამისი მოქმედების შესრულება (რაც გულისხმობს მაგრამ არ შემოიფარგლება შესაბამისი რწმუნებულების გაცემას) **საიჯარო ფართთან** (რაც გულისხმობს **საიჯარო ფართის** არქიტექტურულ პროექტში ან /და სტატუსში ცვლილებების შეტანა აბონირება, **მოიჯარის** სარეკლამო ბანერის განთავსება და სხვა ნებისმიერი საკითხი რაც შეიძლება დღის წესრიგში დადგეს **მოიჯარის** მიერ

საიჯარო ფართის სრულფასოვნად კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციისათვის) დაკავშირებით საჭირო საბუთის/ნებართვის/ცნობის მიღებაში, რომელიც შეიძლება მოითხოვონ ხელისუფლების, მათ შორის, მაკონტროლებელმა ორგანოებმა და წარმოადგენს მესაკუთრის უფლებამოსილებას ან/და საჭიროებს მესაკუთრის ნებართვას; ამავდროულად მხარეები ადასტურებენ, რომ **მეიჯარის** მიერ განსახორციელებელი ქმედება შემოიფარგლება შესაბამისი დოკუმენტის ხელმოწერით, რაც შეიძლება დასჭირდეს **მოიჯარეს** წინამდებარე **პუნქტით** განსაზღვრული მიზნის მისაღწევად.

4.1.5. თავისი ბრალეულობით საიჯარო ფართის დაზიანებების შემთხვევაში მიიღოს ზომები მისი შედეგების აღმოსაფხვრელად.

4.2. **მეიჯარის** მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითოეული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მათ შორის, 4.1 პუნქტით გათვალისწინებული **საიჯარო ფართის** გადაცემის ვადის დარღვევის შემთხვევაში, **მოიჯარე** უფლებამოსილია დააკისროს **მეიჯარეს** პირგასამტეხლო 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მანამ სანამ არ მოხდება ვალდებულების შესრულება .

4.3. **მეიჯარე** უფლებამოსილია:

4.3.1. ექვს თვეში ერთხელ შეამოწმოს **საიჯარო ფართის** მდგომარეობა. შემოწმების დრო წინასწარ თანხმდება **მოიჯარესთან**. შემოწმება განხორციელდება **მოიჯარის** უფლებამოსილი წარმომადგენლის თანდასწრებით.

4.3.2. ხანძრის, დატბორვის, სტიქიური მოვლენების და ისეთ საგანგებო შემთხვევებში, რომლებიც დამოკიდებული არაა ადამიანურ ფაქტორზე **მეიჯარე** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, **მოიჯარისთვის** წინასწარი შეტყობინების გარეშე შევიდეს საიჯარო ფართში იმ პირობით, რომ **მოიჯარის** კუთვნილი ქონება ობიექტური შესაძლებლობის ფარგლებში იქნება დაცული დაზიანებისგან.

4.3.3. მოითხოვოს **მოიჯარის** ბრალით მიყენებული ზიანის ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ **მოიჯარე** არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იყენებს **საიჯარო ფართს** ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი მიზნებისათვის ან აზიანებს მას (ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად ზიანში არ იგულისხმება მიმდინარე ცვეთა);

4.3.4. **მოიჯარის** თანხმობის გარეშე განკარგოს **საიჯარო ფართი**, მათ შორის გაასხვისოს ან იპოთეკით დატვირთოს ნებისმიერი მესამე პირის სასარგებლოდ. მესაკუთრის ცვლილება არ წარმოადგენს ამ ხელშეკრულების ცვლილებებისა და / ან მისი შეწყვეტის საფუძველს და ახალ მესაკუთრეზე სამოქალაქო კოდექსის 572-ე მუხლის შესაბამისად გადადის **მეიჯარის** ყველა ის უფლება და ვალდებულება, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით ან გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან **მეიჯარე** ვალდებულია ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედების განხორციელებისას ამის თაობაზე წინასწარ შეატყობინოს **მოიჯარეს**.

5. მოიჯარის უფლება-მოვალეობანი

5.1. **მოიჯარე ვალდებულია:**

5.1.1. გამოიყენოს **საიჯარო ფართი** მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების 1-ლ პუნქტში მითითებული დანიშნულებით;

5.1.2. დადგენილ ვადაში და სრულად გადაუხადოს **მეიჯარეს** საიჯარო ქირა წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლით დადგენილი პირობებით;

5.1.3. გაუფრთხილდეს იჯარის საგანს და უზრუნველყოს მისი ჯეროვანი მოვლა-პატრონობა, იქონიოს იჯარის საგანი სრულ წესრიგში და გამართულ მდგომარეობაში, სანიტარულ-ტექნიკურ და ხანძარსაწინააღმდეგო ნორმებთან შესაბამისობაში, ტექნიკური ექსპლუატაციისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვით, ასევე დაიცვას მოწყობილობების და ინვენტარის, საინჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლუატაციის წესები;

5.1.4. დაფაროს მიმდინარე კომუნალური ხარჯები, რაც დაკავშირებულია **საიჯარო ფართით** სარგებლობასა და მის ჯეროვან მოვლასთან;

5.1.5. დაუყოვნებლივ შეატყობინოს **მეიჯარეს** იმ გარემოებების შესახებ, რომლებიც იწვევს საიჯარო ფართის/შენობის დაზიანებას ან მისი ხარისხის გაუფასურებას;

5.1.6. არ დაუშვას **საიჯარო ფართში** აალებადი, ფეთქებადი და მომწამლავი მასალების შენახვა. აალებადი ან მომწამლავი მასალა არ გულისხმობს საოფისე ფართში ჩვეულებრივ არსებულ ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა საწმენდი საშუალებები, ქაღალდის პროდუქტები ან საოფისე დანიშნულების ქიმიური პროდუქტები;

5.1.7. შეაკეთოს, აღადგინოს, ან აუნაზღაუროს **მეიჯარეს** ზიანი/ზარალი, რაც გამოწვეულია, როგორც **მოიჯარის** ბრალეული ქმედებით საიჯარო ფართის და/ან მასში განთავსებული კუთვნილი მატერიალური ფასეულობების დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში,.

5.1.8. უზრუნველყოს **საიჯარო ფართის** დასუფთავება, გაწმენდა და ნაგვის გატანა საკუთარი თანამშრომლების თუ დაქირავებული პირების მეშვეობით;

5.1.9. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულების რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში).

5.2. **მოიჯარე უფლებამოსილია:**

5.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შეუზღუდავად ისარგებლოს საიჯარო ფართით და საერთო სარგებლობის ფართით კვირაში 7 (შვიდი) დღის განმავლობაში (უქმე დღეების ჩათვლით);

5.2.2. წინასწარი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ქვეიჯარით გადასცეს საიჯარო ფართი ან მისი რომელიმე ნაწილი იმ პირობით, რომ დაცული იქნება ხელშეკრულების 1 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის პირობები. ამასთან, **მოიჯარე** თავად დარჩება პასუხისმგებელი **მეიჯარის** წინაშე ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შესრულებაზე; **მოიჯარემ** უნდა უზრუნველყოს, რომ ქვეიჯარის პირობები შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს. ამასთან ქვეიჯარის ხელშეკრულების ვადა არ უნდა აღემატებოდეს წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იჯარის დარჩენილ ვადას, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას ავტომატურად მოყვება მის საფუძველზე დადებული ქვეიჯარის ხელშეკრულებების შეწყვეტა, ხოლო ქვემოიჯარის მიერ **საიჯარო ქონების** დაზიანების და/ან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში **მეიჯარის** წინაშე პასუხისმგებლობა დაეკისრება **მოიჯარეს**.

5.2.3. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1.1. პუნქტის შესაბამისად **საიჯარო ფართზე** დაშვების შემდეგ **მეიჯარის** დამატებითი თანხმობის გარეშე ჩაატაროს სარემონტო სამუშაოები, **მოიჯარე** უფლებამოსილია საკუთარი ხარჯითა და სახსრებით გააუმჯობესოს, შეცვალოს, გადააკეთოს **საიჯარო ფართი**, მათ შორის შეცვალოს შიდა ტიხრები, შიდა კომუნიკაციები, **საიჯარო ფართის** ფასადი (შესაბამისი ნებართვის საფუძველზე). აღნიშნული ცნობილია **მეიჯარისათვის** და იგი აცხადებს წინასწარ თანხმობას.

5.2.4. **საიჯარო ფართში** საკუთარი პასუხისმგებლობით და ხარჯით განახორციელოს სარემონტო სამუშაოები, ყველა ფუნქციონალური მოწყობილობის მონტაჟი, ხოლო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ მოხსნას მის მიერ დამონტაჟებული მოწყობილობა-დანადგარები და ინტერიერის ელემენტები (ავეჯი), და გაუმჯობესება თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

5.2.5. **საიჯარო ფართზე** (შენობა-ნაგებობაზე) და მის ტერიტორიაზე მათ შორის შენობის გარე ფასადზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, განათავსოს მისი ან მასთან აფილირებული პირების საქმიანობის საგანთან დაკავშირებული სარეკლამო მასალები, აღმნიშვნელი აბრა და სხვა. ამასთან, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით **მეიჯარე** აცხადებს თანხმობას მოიჯარის მიერ ასეთი აბრის, სარეკლამო მასალის საიჯარო საგანზე განთავსებაზე. შესაბამისად მოიჯარე უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიმართოს შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს შესაბამისი ნებართვის მოსაპოვებლად.

5.2.6. მოითხოვოს საიჯარო ქირის შემცირება იმ შემთხვევაში თუ **საიჯარო ფართს** აღმოჩნდება უფლებრივი ან /და ნივთობრივი ნაკლი, რომელიც ამცირებს **საიჯარო ფართის** დანიშნულებისამებრ გამოყენებას ასეთი ნაკლის აღმოფხვრამდე ან საკუთარი ხარჯით, რომელიც არ შეიძლება იყოს საბაზრო ფასზე მაღალი, გამოასწოროს ხარვეზი, რასაც გამოქვითავს მეიჯარისთვის გადასახდელი საიჯარო ქირიდან.

5.3. **საიჯარო ფართში** არსებულ მის კუთვნილ ქონებას **მოიჯარე** უვლის პირადი რისკით და **მეიჯარეს** არ ეკისრება პასუხისმგებლობა მათ დაზიანებაზე ან დაკარგვაზე, თუ ეს გამოწვეული არ არის **მეიჯარის** ბრალით.

5.4. **საიჯარო ფართისათვის** მიყენებული ყოველგვარი ზიანი, გარდა ჩვეულებრივი ცვეთით ან ფორსმაჟორული გარემოებით გამოწვეული დაზიანება, მიყენებული **მოიჯარის**, მისი თანამშრომლების, აგენტების, მომსახურე პერსონალის, მოწვეული პირების ან სტუმრების მიერ, გამოსწორებული იქნება **მოიჯარის** მიერ, მისივე ხარჯებითა და ძალებით.

5.5. **მოიჯარეს** ეკისრება პასუხისმგებელობა **საიჯარო ფართში** მის მიერ წარმოებული სამუშაოების, მათ შორის სარემონტო სამუშაოების და მათი შესრულების მეთოდების შესაბამისობაზე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან, მათ შორის ეკისრება პასუხისმგებლობა სარემონტო სამუშაოების უსაფრთხოებაზე.

5.6. **მოიჯარე** ვალდებულია დაიცვას **მეიჯარე** და აუნაზღაუროს მას ნებისმიერი ზიანი, ზარალი ანდა ხარჯი რაც შეიძლება მიადგეს **მეიჯარეს მოიჯარის** მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებების დარღვევით.

6. საიჯარო ფართის მდგომარეობა

6.1. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღისათვის **საიჯარო ფართის** მდგომარეობა არის სარემონტო, **საიჯარო ფართის** ფაქტობრივი მდგომარეობა მხარეთა მიერ აღწერილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 60 კალენდარული დღის ვადაში და დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას დანართის სახით.

6.2. **საიჯარო ფართი მოიჯარეს** დათვალიერებული აქვს და მის ნივთობრივ მდგომარეობასთან მიმართებაში (გარდა ფარული ნაკლისა) პრეტენზია არ გააჩნია.

6.3. **მოიჯარე** არაუგვიანეს 2025 წლის 01 მარტისა საკუთარი ხარჯით უზრუნველყოფს **საიჯარო ფართის** რემონტის დასრულებას, რის შემდეგაც **მხარეთა** შორის გაფორმდება მიღება ჩაბარების აქტი.

6.4. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად **მხარეები** ადასტურებენ რომ: ა) **მოჯარის** მიერ სარემონტო სამუშაოების განხორციელებისთვის დადგენილ პერიოდში (წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან არაუგვიანეს 2025 წლის 01 მარტამდე) **მოიჯარეს** არ წარმოეშობა საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულება, ბ) სარემონტო სამუშაოების განხორციელება წარმოადგენს **მოიჯარის** უფლებას და აღნიშნული ვადაში მათი განუხორციელებლობა არ წარმოადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის ან/და საიჯარო ქირის გადახდაზე უარის თქმის საფუძველს.

7. ფორს-მაჟორი

7.1. **მხარეები** თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულებების სრული და ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის მოქმედების შემთხვევაში, რომლის დროსაც შეუძლებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.2. დაუძლეველი ძალის ქვეშ იგულისხმება გარემოებები, რომლებიც არ არსებობდნენ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დროს და რომელთა დადგომა და ზემოქმედება მხარეებს არ შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ და გადაელახათ.

7.3. **მხარემ,** რომლისთვისაც ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 30 სამუშაო დღისა ამ გარემოებების დადგომიდან, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

7.4. შეტყობინებაში მითითებული ფაქტები დადასტურებულ უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ. დადასტურება არ არის საჭირო, თუ აღნიშნული ფაქტები ცნობილია საჯაროდ.

7.5. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გაგრძელდა ექვს თვეზე მეტ ხანს, **მხარეებმა** უნდა გადაწყვიტონ ხელშეკრულების ბედი. თუ **მხარეები** ნებისმიერი მხარის მოთხოვნიდან 30 კალენდარული დღის ვადაში ვერ მიაღწევენ კომპრომისულ შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს (მათ შორის ვადამდე) მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

8.1.1. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

8.1.2. **მოიჯარის** მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის ზედიზედ ორი თვის განმავლობაში გადაუხდელობის ან კალენდარული წლის განმავლობაში ჯამში არანაკლებ სამჯერ საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში;

8.1.3. **მეიჯარის** მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში. ასეთ დროს **მოიჯარე მეიჯარეს** წერილობითი შეტყობინების საფუძველზე განუსაზღვრავს ვალდებულების შესრულების გონივრულ ვადას რომელიც არ უნდა იყოს 30 კალენდარულ დღეზე ნაკლები. **მეიჯარის** მიერ დამატებით მიცემულ ვადაში ვალდებულების სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში, **მოიჯარე** უფლებამოსილია ვადამდე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.1.4. ერთ-ერთი **მხარის** მიერ 7.5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, შეწყვეტამდე 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე მეორე მხარისთვის შეწყვეტის შესახებ შეტყობინების გაგზავნით.

8.1.5. **მოიჯარის** ინიციატივით, იმ შემთხვევაში, თუ **მეიჯარის** მიერ 4.1.4. პუნქტით დადგენილი წესით შესაბამისი თანხმობის გაცემიდან 3 კალენდარული თვის ვადაში, ადგილობრივმა მმართველობის ორგანოებმა არ გასცეს **საიჯარო ფართთან** მიმართებაში განსახორციელებელი აუცილებელი არქიტექტურული ცვლილებების ნებართვა.

8.2. სხვა ნებისმიერ შემთხვევაში (გარდა 8.1. პუნქტით გათვალისწინებული საფუძველბისა) ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა არ დაიშვება. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ თუ მიუხედავად წინამდებარე პუნქტისა, რომელიმე **მხარე** დააყენებს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხს ნებისმიერი (მათ შორის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ასეთის არსებობისას) საფუძველით, იგი ვალდებულია მეორე **მხარეს** აცნობოს აღნიშნულის შესახებ შეწყვეტის სასურველი თარიღამდე არაუგვიანეს 12 თვისა და გადაუხადოს მეორე **მხარეს** პირგასამტეხლო 6 თვის საიჯარო ქირის ოდენობით, თუ **მხარეები** სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

8.3. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში **მეიჯარე** ვალდებულია აუნაზღაუროს **მოიჯარეს** ის ხარჯები, რომლებიც მოიჯარემ გაწია სარემონტო სამუშაოებისათვის (ცვეთის გათვალისწინებით) ამ ხელშეკრულების 6.3. პუნქტის შესაბამისად.

9. კომუნიკაცია

9.1. **მხარეებს** შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. **მხარისათვის** გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან მატერიალური სახით მათ შორის საფოსტო გზავნილით.

9.2. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ (მათ შორის, ელექტრონული დოკუმენტით, ქვითრით, შეტყობინების

შესაბამისი სხვა საშუალებით და ა.შ.). თუ შეტყობინების მიღება არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად:

9.2.1. კურიერის ან დაზღვეული საფოსტო გზავნილის მეშვეობით წერილობითი შეტყობინების შემთხვევაში – გაგზავნიდან 3 (სამი) კალენდარულ დღეში, ან ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს (რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი);

9.2.2. ელექტრონული ფოსტის ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში –მეორე სამუშაო დღეს;

9.3. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ **მხარეს** შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას.

9.4. **მხარეები** ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართზე (ან სხვა ნებისმიერ მისამართზე, რომელსაც ერთი მხარე აცნობებს მეორეს წერილობით). **მხარე** ვალდებულია აღნიშნული მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს მეორე **მხარეს**, წინააღმდეგ შემთხვევაში, **მხარის** მიერ აღნიშნულ მისამართზე განხორციელებული ურთიერთობა (შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჯეროვნად შესრულებულად.

10. პრეტენზიები და დავები

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე პრეტენზიები **მხარეებმა** შეიძლება ერთმანეთს წაუყენონ წერილობით ან/და ზეპირად. პრეტენზიის მიმღები **მხარე** ვალდებულია პრეტენზიის მიღებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში მთლიანად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილოს წამოყენებული პრეტენზია, ან წერილობით ან/და ზეპირად აცნობოს მეორე **მხარეს** მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

10.2. ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა (მათ შორის, ხელშეკრულების არსებობასთან, ინტერპრეტაციასთან, შესრულებასთან და აღსრულებასთან დაკავშირებით) წყდება მოლაპარაკებით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ცვლის მხარეთა შორის არსებულ ყველა იმ ზეპირ და წერილობით შეთანხმებას, რომელიც არსებობდა ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში.

11.2. ის ურთიერთობები, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ნორმების მიხედვით.

11.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა დასაშვებია **მხარეთა** შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, რომლისთვისაც დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რომელიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებისთვის.

11.4. ამ ხელშეკრულების ყველა დანართი და ცვლილება წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთობლიობაში.

11.5. წინამდებარე ხელშეკრულებაში ყოველგვარი შესწორებების შეტანის აუცილებლობის შესახებ მხარეებმა უნდა აცნობონ ერთმანეთს მხოლოდ წერილობითი ფორმით.

11.6. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად. რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს, ხოლო ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციის მიზნით.

12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მეიჯარე

შპს Medicare Georgia
საიდენტიფიკაციო კოდი 404396765
მისამართი : ქ. თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ე. ნინოშვილის ქ. #13
საკონტაქტო მისამართი : ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. #20
საკონტაქტო ელექტრონული მისამართი: clinic.medicare@yahoo.com
საბანკო რეკვიზიტები
ბანკი : სს თიბისი ბანკი
ბანკის კოდი TBCBGE
ა/ა GE92TB7275036120100001

მოიჯარე

სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი
საიდენტიფიკაციო კოდი 404476189
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 66ა
საკონტაქტო მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 66ა
საკონტაქტო ელექტრონული მისამართი: k.akhvlediani@aldagi.ge;
საბანკო რეკვიზიტები
ბანკი სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა GE65BG0000000114845506

მხარეთა ხელმოწერები

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.05.008.013**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892023357102 - 05/12/2023 15:00:11

მომზადების თარიღი
05/12/2023 15:28:44

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	**14**	**05**	**008/013**

მისამართი: ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 16

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1263.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 4687.49 კვ.მ. (მათ შორის: საზაფხულო ფართობი 332.5 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1580.28 კვ.მ; დამხმარე ფართობი 1346.51 კვ.მ; საორდინატორო და საოპერაციო ფართობი 741.8 კვ.მ; პალატების ფართობი 686.4 კვ.მ.)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023722395 , თარიღი 12/07/2023 09:29:10
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/07/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/05/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- ბრძანება №17.01231891 , დამოწმების თარიღი:08/07/2023 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალური ინსპექცია
- ბრძანება N6444209, დამოწმების თარიღი:03/05/2023 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
- ბრძანება N5198733 , დამოწმების თარიღი:03/12/2020 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

მესაკუთრეები:
შპს "Medicare Georgia" , ID ნომერი:404396765

მესაკუთრე:
შპს "Medicare Georgia"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ

თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23181384, 05/12/2023 13:30:46

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი
სამართლებრივი ფორმა:	სააქციო საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404476189
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	31/07/2014
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N 66ა

რეორგანიზაციის ისტორია

რეორგანიზაციამდე არსებული სუბიექტი	ოპერაცია	რეორგანიზაციის შედეგად რეგისტრირებული სუბიექტი	თარიღი
სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელ (204919008)	გამოყოფა	სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი (404476189)	31/07/2014

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- სამეთვალყურეო საბჭო

  თავმჯდომარე/წევრი: ავთანდილ ნამიჩეიშვილი, 01026007516

  თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: გიორგი ალფაიძე, 60001032791

  წევრი: ირაკლი გილაური, 01024005565

- აქციონერთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- ფინანსური დირექტორი - ლაშა ხახუტაიშვილი, 61001048770 ,სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული
- თეონა კვიციანი, 01024026175 ,სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული
  იურიდიული დირექტორი
- გენერალური დირექტორი

  გიორგი ბარათაშვილი, 01017017793 ,ერთპიროვნული

კაპიტალი

განთავსებული კაპიტალი	7905277 ლარი

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www. napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405 405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405 405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405 405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B23181636, 05/12/2023 15:06:51

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს Medicare Georgia
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404396765
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	16/03/2011
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ჩუღურეთის რაიონი, ე. ნინოშვილის ქ., N 13

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- საერთო კრება
- დირექტორი

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი

  რამაზ ჭიღლაძე, 01030041525 ,ერთპიროვნული

კაპიტალი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.05.008.013**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 892023415233 - 18/12/2023 16:48:58

მომზადების თარიღი
18/12/2023 18:49:00

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	ვაკე		
01	**14**	**05**	**008/013**

მისამართი: ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 16

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი: 1263.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:

შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 4687.49 კვ.მ. (მათ შორის: საზაფხულო ფართობი 332.5 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 1580.28 კვ.მ; დამხმარე ფართობი 1346.51 კვ.მ; საორდინატორო და საოპერაციო ფართობი 741.8 კვ.მ; პალატების ფართობი 686.4 კვ.მ.)

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023722395 , თარიღი 12/07/2023 09:29:10
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 17/07/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი:01/05/2017 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
- ბრძანება N∂17.01231891 , დამოწმების თარიღი:08/07/2023 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია მუნიციპალური ინსპექცია
- ბრძანება N6444209, დამოწმების თარიღი:03/05/2023 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
- ბრძანება N5198733 , დამოწმების თარიღი:03/12/2020 , ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

მესაკუთრეები:
შპს "Medicare Georgia" , ID ნომერი:404396765

მესაკუთრე:
შპს "Medicare Georgia"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892023415233 თარიღი 18/12/2023 16:48:58

მოიჯარე: სააქციო საზოგადოება "სადაზღვევო კომპანია ალდაგი"404476189;

საგანი:შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 4687.49 კვ.მ;
საბოლოო თარიღი:01/03/2035;

იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი18/12/2023, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/12/2023

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge